

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ამზადებს გამოცდას პროფესიულ უნარებში წამყვანი და მენტორი მასწავლებლობის მსურველთათვის.

საგამოცდო ტესტში გამოყენებული იქნება სხვადასხვა ტიპის დავალება:

- ✓ არჩევითპასუხებიანი
- ✓ შესაბამისობის
- ✓ ღია (პროექტის, კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება, კონკრეტული შემთხვევის/პრობლემური სიტუაციის ანალიზი და სხვა)
- ✓ ფუნქციური/ანალიტიკური წერა

ქვემოთ მოცემული დავალებები მხოლოდ ნიმუშებია და არა საგამოცდო კითხვების ზუსტი ანალოგები.

გთავაზობთ ტესტური დავალების ნიმუშებს:

არჩევითპასუხიანი დავალება

(მაქსიმალური ქულა - 1)

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ეფექტიანია მაშინ, როცა მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ მიღებული ცოდნა და ღირებულებები რეალურ ცხოვრებაში გამოიყენონ.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედებაა *ყველაზე ეფექტიანი* იმისათვის, რომ მოსწავლეებმა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კუთხით პრაქტიკული გამოცდილება შეიძინონ?

- ა) მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულას და სთხოვს მათ, იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რა უშლის ხელს თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას.
- ბ) მასწავლებელი მოსწავლეებს განსახილველად აძლევს სიტუაციურ ამოცანას, რომელშიც საუბარია გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლთა მდგომარეობაზე. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს.
- გ) მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, წარმოადგინონ საკუთარი წინადადებები სწავლების პროცესისა და სკოლის მართვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რისთვისაც სთავაზობს მათ ე. წ. „წინადადებების ყუთს“.
- დ) მასწავლებელი მოსწავლეებს სადისკუსიოდ აძლევს შეკითხვას: „დასაშვებია თუ არა ძალადობა სახელმწიფოს მხრიდან, როცა საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ წესრიგსა და საზოგადოებრივ თუ კერძო საკუთრებას?“

სწორი პასუხი: გ

შესაბამისობის დავალება

A სვეტში წარმოდგენილი აღწერები შეუსაბამეთ B სვეტში მოცემულ ცოდნის სახეებს.

აღწერა (A)	ცოდნის სახე (B)
I. მოსწავლემ კარგად იცის ომის კანონი. მას შეუძლია წრედში წინაღობის გამოთვლა, თუ მისთვის ცნობილია დენის ძალისა და ძაბვის სიდიდეები.	ა) დეკლარატიული ბ) პროცედურული გ) პირობისეული
II. მოსწავლე სწორად განმარტავს ძაბვის, დენის ძალისა და წინაღობის სიდიდეებს.	
III. მოსწავლეს შეუძლია ახსნას, რატომ არ კვდებიან დენის დარტყმით ჩიტები, რომლებიც ელექტრული დენის გამტარ შიშველ სადენებზე სხედან.	
IV. მოსწავლე სწორად ასახელებს ძაბვის, დენის ძალისა და წინაღობის სიდიდეებს ერთეულებს.	

*შესაბამისობები ჩაწერეთ თანდართულ ცხრილში

(მაქსიმალური ქულა – 1)

შეფასების სქემა

1 ქულა	თუ ცხრილში პასუხები მონიშნულია მოცემული თანმიმდევრობით:				
	აღწერა (A)	I	II	III	IV
	ცოდნის სახე (B)	ბ	ა	გ	ა
0 ქულა	ნებისმიერი სხვა თანმიმდევრობით მონიშნული პასუხი				

ღია დავალება

(პროექტის, კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება, კონკრეტული შემთხვევის/პრობლემური სიტუაციის ანალიზი და სხვა)

გაკვეთილზე დაკვირვება

(მაქსიმალური ქულა -12)

სკოლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მასწავლებელთა ურთიერთანამშრომლობის ერთ-ერთი ეფექტიანი სტრატეგიის - „კრიტიკული მეგობრის“ დანერგვა. პროექტის ფარგლებში კოლეგები ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრებოდნენ, აფასებდნენ და შეიმუშავებდნენ რეკომენდაციებს.

გთავაზობთ ერთ-ერთი პედაგოგის მიერ გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე შევსებულ შეფასების ფორმას.

შეფასების ფორმა:

სასწავლო გარემო		კომენტარი
1	ურთიერთპატივისცემა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო	მასწავლებელი კლასის აქტიურ მოსწავლეებს სახელით მიმართავს, უსვამს შეკითხვებს და მათ მიერ გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს წაახალისებს.
2	კლასის მართვა	მოსწავლეთა უმრავლესობა იცავს ქცევის წესებს, მასწავლებელი კლასს მხოლოდ რამდენიმე მითითებას აძლევს.
3	სასწავლო რესურსი	მასწავლებელი სასწავლო რესურსს ეფექტიანად იყენებს და ახერხებს მოსწავლეთა უმეტესობის ჩართვას ამ პროცესში. მასწავლებელი საკლასო ორგანიზაციის ფორმის შესაბამისად ცვლის ავეჯის განლაგებას კლასში.
სწავლება და შეფასება		კომენტარი
1	სასწავლო მიზნებისა და შინაარსის განმარტება	მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას. გაკვეთილის მიზანი სლაიდზე აქვს წარმოდგენილი, მაგრამ მის შესახებ არ საუბრობს. ახსნილი მასალისა და მიცემული დავალების ნაწილი მოსწავლეთათვის გასაგებია, ნაწილი - რთული. მოსწავლეებს უჭირთ საკითხზე მსჯელობა.

2	ინსტრუქციები აქტივობებისათვის	მასწავლებელს იშვიათად უწევს მოსწავლეებისათვის ინსტრუქციების დაზუსტება ან დამატებითი ინსტრუქციების მიცემა.
3	სწავლების სტრატეგიები, აქტივობები და მეთოდები	მასწავლებელი გაკვეთილზე ძირითადად სვამს შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლეების ცოდნის შემოწმებაზეა ორიენტირებული.
4	მოტივაცია და ჩართულობა	მარტივი დავალებების გამოყენებით მასწავლებელი ახერხებს გაკვეთილში მოსწავლეების ჩართვას, რთული დავალებების შეთავაზების დროს მოსწავლეთა უმეტესობა პასიურია. მასწავლებელი თვითონ ასახელებს მოსწავლეს, რომელმაც უნდა უპასუხოს შეკითხვას. მოსწავლეები არ იჩენენ ინიციატივას.
5	სწავლების დროს შეფასების გამოყენება	მასწავლებელს შეფასების კრიტერიუმები შემუშავებული აქვს, თუმცა იგი არ განუმარტავს მოსწავლეებს, კრიტერიუმის რომელ მოთხოვნებს უპასუხებს მათ და სად ჰქონდათ ხარვეზი, ანუ რატომ მიიღეს აღნიშნული ქულა. მასწავლებელი აქებს მთლიანად კლასს და არ აღნიშნავს კონკრეტული მოსწავლის წვლილს.

დავალბა შეასრულეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

- შეფასების ფორმაზე დაყრდნობით გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი დადებითი მხარე.
- შეფასების ფორმაზე დაყრდნობით გააანალიზეთ ჩატარებული გაკვეთილის ორი უარყოფითი მხარე.
- შეიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება ხარვეზების აღმოფხვრაში.

დავალების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

N	დადებითი მხარე	ქულა
1	დადებითი მხარე ადეკვატურად არის იდენტიფიცირებული და გაანალიზებული	2
2	დადებითი მხარე იდენტიფიცირებულია, მაგრამ არ არის გაანალიზებული	1
3	დადებითი მხარე არასწორად ან არ არის იდენტიფიცირებული	0

II კრიტერიუმი

N	უარყოფითი მხარე	ქულა
1	უარყოფითი მხარე ადეკვატურად არის იდენტიფიცირებული და გაანალიზებული	2
2	უარყოფითი მხარე იდენტიფიცირებულია, მაგრამ არ არის გაანალიზებული	1
3	უარყოფითი მხარე არასწორად ან არ არის იდენტიფიცირებული	0

III კრიტერიუმი

N	რეკომენდაცია	ქულა
1	რეკომენდაცია ადეკვატურია და მკაფიოდ არის ფორმულირებული	2
2	რეკომენდაცია ადეკვატურია, თუმცა ზოგადია ან/და სქემატურად არის ფორმულირებული	1
3	რეკომენდაცია არ არის ან არაადეკვატურია	0

***შენიშვნა:**

- გაკვეთილის თითოეული დადებითი და უარყოფითი მხარის იდენტიფიცირება და გაანალიზება შეფასდება I და II კრიტერიუმების მიხედვით.
- ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემუშავებული თითოეული რეკომენდაცია შეფასდება III კრიტერიუმის მიხედვით.

მიღებული ქულები დაჯამდება.

ერთ-ერთი საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ მასწავლებელს, რომელიც სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფის წევრად აირჩიეს, დაავალა სასკოლო გარემოს შეფასება. მან ამ მიზნით დაგეგმა და ჩაატარა კვლევა, შეადგინა კითხვარი, რომლის გამოყენებითაც იკვლევდა მოსწავლეების დამოკიდებულებას მასწავლებლების მიმართ.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეები მასწავლებელთა უმრავლესობას პოზიტიურად აფასებენ, მოსწონთ მათი დამოკიდებულება როგორც მოსწავლეების, ასევე ერთმანეთისა და მშობლებისადმი. ამასთან, მიაჩნიათ, რომ მათი ჩატარებული გაკვეთილები საინტერესოა. თუმცა, იყვნენ მოსწავლეები, რომლებიც ნეგატიურად აფასებდნენ რამდენიმე მასწავლებლის როგორც კლასის მართვის სტილს, ასევე მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს.

მასწავლებელმა კვლევა დაასრულა და საბოლოო შედეგები დაამუშავა, შეადგინა გრაფიკები, სადაც ნათლად ჩანდა თითოეული მასწავლებლის სუსტი და ძლიერი მხარეები. ასევე, მან ცხრილის სახით წარმოადგინა, თუ როგორ აფასებდა თითოეული მოსწავლე კონკრეტულ მასწავლებელს. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა მასწავლებელმა თითოეული კოლეგისათვის შეიმუშავა რეკომენდაცია.

მასწავლებელმა კვლევის პრეზენტაცია წარადგინა დირექტორის მიერ მოწვეულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც სკოლის ყველა პედაგოგი ესწრებოდა.

გაანალიზეთ სიტუაცია შემდეგი მითითებების მიხედვით:

- აღმოაჩინეთ მკვლევარი მასწავლებლის მიერ დაშვებული ორი შეცდომა.
- განმარტეთ, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს თითოეულ მათგანს.
- შეიმუშავეთ მკვლევარი მასწავლებლისათვის შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებშიც მითითებული იქნება თითოეული ხარვეზის აღმოფხვრის გზა.

დავალების შეფასების კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

N	შეცდომის აღმოჩენა	ქულა
1	შეცდომა ადეკვატურად არის იდენტიფიცირებული	1
2	შეცდომა არასწორად არის იდენტიფიცირებული ან არ არის აღმოჩენილი	0

II კრიტერიუმი

N	შედეგის განსაზღვრა	ქულა
1	სწორად არის განსაზღვრული დაშვებული შეცდომის უარყოფითი შედეგი	1
2	უარყოფითი შედეგი დასახელებული არ არის ან განსაზღვრულია არასწორად	0

III კრიტერიუმი

N	რეკომენდაცია	ქულა
1	რეკომენდაცია ადეკვატურია და მკაფიოდ არის ფორმულირებული	2
2	რეკომენდაცია ადეკვატურია, თუმცა ზოგადია ან/და სქემატურად არის ფორმულირებული	1
3	რეკომენდაცია არ არის ან არაადეკვატურია	0

***შენიშვნა:**

- თითოეული შეცდომის იდენტიფიცირება შეფასდება I კრიტერიუმის მიხედვით.
- თითოეული უარყოფითი შედეგის განსაზღვრა შეფასდება II კრიტერიუმის მიხედვით.
- თითოეული რეკომენდაცია შეფასდება III კრიტერიუმის მიხედვით.

მიღებული ქულები დაჯამდება.

ფუნქციური/ანალიტიკური წერა

ფუნქციური წერა

(მაქსიმალური ქულა - 8)

ინსტრუქცია: სათქმელი ჩამოყალიბეთ ნათლად და გასაგებად. მკაფიოდ წარმოაჩინეთ პრობლემის არსი და დამაჯერებლად დაასაბუთეთ საკუთარი მოთხოვნა.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი 140 სიტყვაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

დავალების პირობა:

თქვენი სკოლის ბიბლიოთეკას სჭირდება განახლება. სკოლის ამ წლის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს ამგვარ ხარჯებს.

საჭირო თანხის გამოყოფის თხოვნით მიმართეთ რომელიმე ორგანიზაციას და დაასაბუთეთ, რომ წელს სკოლისათვის ბიბლიოთეკის განახლება აუცილებელია.

დავალების შეფასების კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

N	მოთხოვნის ჩამოყალიბება	ქულა
1.	სათქმელი გასაგებად და ნათლად არის ჩამოყალიბებული	2
2.	სათქმელი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ბუნდოვანია	1
3.	დავალების პირობა არ არის შესრულებული ან მოთხოვნა არაადეკვატურია	0

II კრიტერიუმი

N	მსჯელობის დასაბუთება	ქულა
1.	მოთხოვნა დამაჯერებლადაა არგუმენტირებული	2
2.	არგუმენტები სუსტი ან არადამაჯერებელია	1
3.	მოთხოვნა არგუმენტირებული არ არის	0

III კრიტერიუმი

N	ნაშრომის აგება	ქულა
1.	ნაწერი სტრუქტურულად გამართულია - აზრები მწყობრად, თანამიმდევრულად არის გადმოცემული, მსჯელობის ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება.	1
2.	ნაწერი სტრუქტურულად გაუმართავია - აზრები არათანამიმდევრულადაა გადმოცემული, მსჯელობის ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად არ უკავშირდება.	0

IV კრიტერიუმი

N	სტილი, ლექსიკა	ქულა
1.	ნაწერი ლექსიკურად მდიდარია, სტილი გამართულია. შერჩეულია მოცემული თემის ადეკვატური ტონი.	2
2.	ნაწერი ლექსიკურად შედარებით მწირია / სტილისტურად გაუმართავია ზოგიერთი მონაკვეთი / ნაწერის ტონი არ შეესაბამება მოცემულ თემას.	1
3.	ლექსიკა ღარიბია, აზრები გაუგებარია, გვხვდება უხეში სტილისტური ხარვეზები.	0

V კრიტერიუმი

N	სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია	ქულა
1.	არ არის დაშვებული 10 შეცდომაზე მეტი	1
2.	დაშვებულია 10-ზე მეტი შეცდომა	0